პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 177
(7488)

14
1983 წ.
სექტემბერი
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

მარად იწკრიალე, „ცოდნის ზარო— „დედა ენავ“!

11 სექტემბერს თბილისში მაღალი კვარცხლბეკიდან აწკრიალდა სიმბოლური „ცოდნის ზარი — „დედა ენა“. მან ყველას აუწყა, რომ ძველ და მარად ახალგაზრდა ქალაქს შეემატა კიდევ ერთი მონუმენტი; ამჯერად, მონუმენტი ცოდნისა და იმ წიგნისა, რომლითაც იწყება გზა მისკენ.

დღის 12 საათია. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე სკვერში შეიკრიბნენ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები, თვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ახალგაზრდობა, სტუდენტები, მოსწავლეები. ისინი აქ მოვიდნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ მონუმენტის „ცოდნის ზარის — „დედა ენის“ გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგში.

შეკრებილთა ტაშის გრიალში თეთრ საბურველში გახვეული მონუმენტისაკენ მიემართებიან ამხანაგები ე. შევარდნაძე, გ. გაბუნია, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, ა. ინაური, გ. კოლბინი, ჯ. პატიაშვილი, ტ. როსტიაშვილი, დ. ქართველიშვილი, ო. ჩერქეზია, ნ. ჰითანავა, ს. ხაბეიშვილი, თ. მოსაშვილი, ჟ. შარტავა. რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად არის ქართველ მეცნიერთა უხუცესი, აკადემიკოსი აკაკი შანიძე.

საზეიმოდ ჟღერს ჰიმნი, რომელიც კომპოზიტორმა რევაზ ლაღიძემ შექმნა 1976 წელს ქართული „დედა ენის“ 100 წლისთავის იუბილეს დღესასწაულობის დღეებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე და ქართული მეცნიერების პატრიარქი ა. შანიძე ჭრიან ლენტს. 14-მეტრიანი კომპოზიციიდან, რომლის ავტორები არიან მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი და არქიტექტორი ნოდარ მგალობლიშვილი, ნელა ეშვება თეთრი საბურველი.

შეკრებილთ თვალწინ წარმოუდგათ ბრინჯაოში ხორცშესხმული ძეგლი ცოდნისადმი ხალხის მარადიული მისწრაფებისა, სამყაროს საიდუმლოებაში შეღწევისა, მონუმენტი დედა ენისა, რომლითაც თითოეული ადამიანისათვის იწყება სამშობლო.

* * *

სურათზე: თბილისში მონუმენტ „ცოდნის ზარის — „დედა ენის“ გახსნის დროს.

ვ. ბენბიურის ფოტო.



გაუმარჯოს
რუსი და
ქართველი
ხალხების
მარადიულ
ძმობას

ძმაო,
ძმითა ხარ
ძლიერი!

•

მარად ერთად

ამ სიტყვებმა განსაზღვრა სოფელ რუხში გამართული საქართველოს ახალგაზრდობის ტრადიციული ინტერნაციონალური დღესასწაულის შინაარსი. აქ შეიკრიბა მთელი რესპუბლიკის — ყოველი მისი კუთხის ახალგაზრდობა, რათა საერთო-სახალხო ზეიმის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის წინ აღეთქვათ მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის, რომ უერთგულებენ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ლენინურ იდეალებს. აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, სხვა ქალაქებისა და რაიონების კომკავშირის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ აქ, რათა ჩაებარებინათ ანგარიში თავიანთი მუშაობის, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში მონაწილეობის შესახებ, გაეზიარებინათ მეგობრებისათვის შეძენილი გამოცდილება.

დილიდან ახალგაზრდობის დღესასწაული დაიწყო ზუგდიდის ცნობილი ბოტანიკური ბაღის ხეივნებში. როცა შეწყდა მუსიკა, დამთავრდა ცეკვები და სპორტული ასპარეზობა.

გვიან საღამომდე გაგრძელდა მეგობრობის ზეიმი რუხში. გვიანობამდე ჟღერდა სიმღერები და ლექსები სამშობლოს, პარტიის, ჩვენი ქვეყნის ხალხების ძმობის შესახებ.

* * *

სურათზე: დღესასწაულის დროს.

ი. დავითაშვილის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

18 სექტემბერი ქართული ჭიდაობის დღეა

გიორგიწმინდის საჭიდაო გელით

მომავალ კვირადღეს საქართველოში კიდევ ერთი დიდი სპორტული დღესასწაული გაიმართება. ეს არის **ქართული ჭიდაობის დღე,** სადაც ძალისა და ხერხის ხმარების ოსტატობაში ერთმანეთს შეეჯიბრება დიდი და პატარა, ახალბედა და უმაღლესი სპორტული რეგალიებით დამშვენებული აღიარებული სპორტსმენები და მოხუცებიც კი, ვისაც ჯერ კიდევ არ განელებია ჩვენი მადლიანი ქართული ჭიდაობის ტრფიალი და სიყვარული. ერთი სიტყვით, 18 სექტემბერი ბევრ საინტერესო შეჯიბრებასა და შეხვედრას გვპირდება.

ბუნებრივია, რომ ამ საყოველთაო დღესასწაულში თავიანთ სიტყვას იტყვიან რესპუბლიკის ჭიდაობის ისეთი ცენტრები, როგორიცაა საგარეჯო, გორი, კასპი, თელავი, ახმეტა, დუშეთი, ლენტეხი, ზუგდიდი და სხვ. ამიტომაც არ გაგვიკვირდება, როცა ქართული ჭიდაობის მომავალი დღესასწაულის კვირაძალზე რედაქციაში საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის სოფსაბჭოს თავმჯდომარე **გ. მარიდაშვილი** გვეწვია. მარიდაშვილი თავად სპორტის ოსტატია, იგი საკავშირო პირველობის პრიზიორიც იყო სამბოში და კარგად გაეგება ჭიდაობის ავკარგი.

— გვინდა, რომ ნამდვილი ზეიმი გამოგვივიდეს, — თქვა მარიდაშვილმა — ამისათვის მთელი მონდომებით ვემზადებით. ჩვენი დღესასწაული 2 დღეს — 17–18 სექტემბერს გასტანს და მარტო ადგილობრივი მოჭიდავეების გამოსვლით არ შემოვიფარგლებით. კარგად მოგეხსენებათ, ჩვენი სოფელი დიდებული ქართველი ფალავნის მეკოკიშვილის სამშობლოა და არსენას ნაფუძრის მკვიდრთ უფრო მეტი მოეთხოვებათ. მოწვეული გვყავს რესპუბლიკის სხვა რაიონების, კერძოდ გორის, კასპის, ქიწნისის, ზედღულეთის, დუშეთის, თელავის პოლიტექნიკური ტექნიკუმის, ახმეტის, გურჯაანისა და წითელწყაროს ფალავნები. დანარჩენ მსურველებს კი სიამოვნებით მივიღებთ და ვაჭიდავებთ.

აქვე გათამაშდება მეკოკიშვილის სახელობის პრიზი. ასპარეზობის მთავარ მსაჯად დანიშნულია არსენას ვაჟი, სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში, მოსკოვის ყოფილი ჩემპიონი გიორგი მეკოკიშვილი.

ღია სარბიელი უკვე მზად გვაქვს. უამინდობის შემთხვევაში კი დახურულ საჭიდაოზე გადავინაცვლებთ. ასე, რომ, გიორგიწმინდა სრულ მზადყოფნაშია და ვაჟკაცურ შერკინებებს ელის.

ახალი არენა

ცხინვალში მწყობრში ჩადგა „კოლმეურნის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს ქართული ჭიდაობის არენა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სპორტის ამ ეროვნული სახეობის განვითარებას. ნახერხმოყრილი, კეთილმოწყობილი საჭიდაოს ტრიბუნები 800 კაცს იტევს, აქვს გასახდელები, საშხაპე. საზეიმო გახსნაზე სპორტსმენებს, მაყურებლებს მიესალმნენ და ახალი არენის მწყობრში ჩადგომა მიულოცეს სამხრეთ ოსეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ უ. სანაკოევმა, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. სომხიშვილმა და სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსმა ქ. ბედოევმა.

გახურდა დოლი, აჭყიპინდა ზურნა და სარბიელზე გამომსვლელთაც ჟინი და ბრძოლის წყურვილი მოემატათ, ბიჭებმა ლამაზი, ელვისებური ილეთებით მოხიბლეს მაყურებლები. ერთმანეთს ცვლიდნენ ცხინვალელი, ლენინგორელი, დვანელი, ქიწნისელი, ავნეველი, მუგუთელი, ლამისყანელი, კარალეთელი, ძარწემელი, ერედველი, ქემერტელი, კეხველი, აჩაბეთელი, ფცელი ფალავნები, რომლებიც სახელგანთქმული ქართველი ფალავნის სანდრო კანდელაკის პრიზის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. დაძაბული ორთაბრძოლების შედეგად თავიანთ წონით კატეგორიებში პირველი ადგილები დაიკავეს გ. ხორგუაშვილმა (დვანი), ა. კაცელაშვილმა (ავნევი), ნ. ახალკაცმა (დვანი), გ. ბერუაშვილმა (ფცა), რ. გაბარაევმა (მუგუთი), დ. ოდიშვილმა (ლენინგორი), ვ. ჩერტკოევმა (წინაგარი) და ვ. დონდუაშვილმა (ქიწნისი).

აბსოლუტურ პირველობაში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ძიუდოში ახალგაზრდებს შორის (1979 წ.), ლენინგორელმა სპორტის ოსტატმა დ. ოდიშვილმა.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს მასპინძლებმა, მეორე ადგილზეა გორის, ხოლო მესამეზე — ქარელის რაიონი.

გამარჯვებულ გუნდსა და მოჭიდავეებს გადაეცათ „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს ჯილდოები — თასები და სიგელები.

ახლა საჭიდაო არენაზე ყოველ კვირას ტარდება ქართული ჭიდაობა, რომელსაც ყოველთვის დიდძალი სპორტის მოყვარული ესწრება.

ვ. მელქოევი,
(„ლელოს“ კორ.).

მჭიდრო კონტაქტები

ჟენევაში გაიმართა სპორტის ზაფხულის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების ასოციაციის საბჭოს სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა.

სხდომაზე აგრეთვე იყვნენ სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მეთაური პრიმო ნებიოლო, საბჭოს წევრები, ფიბა-ს გენერალური მდივანი ბორისლავ სტანკოვიჩი, ფიჟ-ის ვიცე-პრეზიდენტი იური ტიტოვი, ფინა-ს ვიცე-პრეზიდენტი ანტე ლამბაშა. განიხილეს ოლიმპიური მოძრაობის სხვადასხვა საკითხი, კერძოდ, მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის მზადება. (საკდესი).

● ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონთან პაექრობაში



გფრ-ის 1983 წლის ღია პირველობაში დიდოსტატ თამაზ გიორგაძის მონაწილეობა სისტემატურად შუქდებოდა „ლელოში". საბოლოო შედეგები 27 აგვისტოს ნომერში დაისტამბა. ქართველმა მოჭადრაკემ დიდად ისახელა თავი II პრიზის მოპოვებით. მას მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა გაუსწრო.

ამ დღეებში თამაზ გიორგაძე რედაქციაში გვეწვია და პირველობასთან დაკავშირებით თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

— გფრ-ის ღია პირველობა 1971 წლიდან ტარდება. ჩვენი შეჯიბრება რიგით მეშვიდე იყო. მასში ორჯერ გაუმარჯვია სპასკის. ერთხელ, 1977 წელს კარპოვს.— გვიამბობს თამაზ გიორგაძემ. —საერთოდ, გერმანიის ჩემპიონატები 1877 წლიდან იმართება. ჰანოვერში იგი ერთხელ, 1902 წელს მოეწყო. ახლა მას ეს ქალაქი მეორედ მასპინძლობდა.

ძალიან დიდი იყო ტურნირისადმი ინტერესი, ჟურნალისტებიც საკმაოდ იყვნენ, პრესაც ბევრს წერდა სპორტულ ბრძოლაზე, თითოეულ მონაწილეზე. ერთხელ მათ საფეხბურთო მატჩი შემოგვთავაზეს. გამოწვევა მივიღეთ და მოვიგეთ კიდეც ანგარიშით 6:1. შეხვედრის გმირი იყო ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი ჰორტი, რომელიც პირველობაში არ მონაწილეობდა, მაგრამ კომენტარს უკეთებდა პარტიებს სადემონსტრაციო დარბაზში.

გფრ-ში მერვედ გახლდით. უწინ მონაწილეობა მიმიღია დორტმუნდის (აქ I ადგილი დავიკავე), ჰამბურგის (III ადგილი), კიოლნი-პორცის (IV ადგილი) საერთაშორისო ტურნირებში, აგრეთვე ევროპის საკლუბო გუნდების პირველობებში. ამიტომ თავს შინაურად ვგრძნობდი და თავისუფლადაც ვთამაშობდი, თუმცა მსოფლიო ჩემპიონთან ერთად პირველად ვმონაწილეობდი ერთ საერთაშორისო ტურნირში.

მართალია, დიდხანს ლიდერი ვიყავი, მაგრამ კარპოვთან ძალიან ძნელია პაექრობა. საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია ყოველ ტურში გამარჯვებისთვის იბრძოლოს, მოუმატოს ტემპს. ერთ მომენტში მას ქულანახევრით ვუსწრებდი, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ვერ დამეწეოდა.

შუა ტურნირში ავად გავხდი, პარტიის გაცდენა არ შეიძლებოდა და ორი შეხვედრა სწრაფად, თითქმის უბრძოლველად დავამთავრე ყაიმით. რა თქმა უნდა, ამან საბოლოო შედეგზეც იმოქმედა. საერთოდ, თამაშით კმაყოფილი ვარ.

ზოგი ცნობილი დიდოსტატი აქ პირველად ვნახე. მაგალითად, ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ფილიპინელმა ტორემ. იგი დიდხანს III ადგილის შანსს ინარჩუნებდა. არგენტინელი კინტეროსი ერუდირებული დიდოსტატი აღმოჩნდა. მას ბევრჯერ გაუმარჯვია იუგოსლავიის ტურნირებში. ამერიკელმა კავალეკმა კი ვერ გაამართლა ექსტრა-კლასის მოჭადრაკის რეპუტაცია. ახალგაზრდებიდან გერმანელ დიდოსტატს, 22 წლის ლობრონს გამოვყოფდი.

აი, ჩემი ერთ-ერთი კარგი პარტია.

კინტეროსი — გიორგაძე

რეტის დებიუტი

1. მf3 d5 2. g3 c6 3. კg2 მf6 4. d3

კინტეროსი რეტის დებიუტის დიდი მცოდნეა. ამიტომ თავიდან ვცდილობდი პარტიისათვის არასტანდარტული ხასიათი მიმეცა.

4. ...კg4 5. მbd2 მbd7 6. h3 კh5 7. g4 კg6 8. მh4 e6.

ძნელია იმის თქმა, რა სჯობია 8. ...e5,თუ 8. ...e6. პაიკის მოკრძალებული სვლა მანევრული თამაშის მეტ საშუალებას იძლევა.

9. e3 მg8! 10. მ×g6 h×g6 11. ლe2 კd6 12. b3

კინტეროსი გრძელ როქს ამზადებს, შემდეგ c პაიკის წინსვლას.

12. ...ლf6 13. d4 g5!



ხაზს უსვამს შავი უჯრების მნიშვნელობას. ამ ტიპის პოზიციაში, სადაც მეტოქეს ორი კუ აქვს, არ უნდა გახსნა თამაში და მხედარი კუზე ძლიერი იქნება. აქ გეგმაში მქონდა მხედრის გადაყვანა g6-ზე h4 უჯრის საკონტროლოდ, ლაზიერის — e7 უჯრაზე, რომ შავუჯრიანი კუთა გაცვლის შემდეგ საგრძნობლად დამესუსტებინა შავი უჯრები თეთრების პოზიციაში.

14. კb2 მe7 15. 0—0—0 მg6 16. მf3 ლe7 17. c4 a5 18. ლc2 კa3 19. კ×a3 ლ×a3+ 20. მფb1 ლe7.

შავებმა თავიანთი გეგმა განახორციელეს.

21. c×d5 e×d5 22. კf1.

ცუდი იყო 22. ლf5, 22. ... a4 23. მ×g5 a×b3 24. a×b3 0-0 შემდეგ შავები ძლიერ იერიშს ღებულობენ.

22. ...მh4 23. მ×h4 ე×h4 24. კd3 მფf8,

შავებს უპირატესობა აქვთ. მაგრამ თუ თეთრებმა ვერ გახსნეს ცენტრი, შავების უპირატესობა გადამწყვეტ მნიშვნელობას მიიღებს.

25. ეde1 მფg8 26. f4 მf8 27. f5 მh7?!

გაცილებით ძლიერი იყო 27. ...ლb4 a4-ის მუქარით.

28. e4 d×e4 29. კ×e4 ლd6 30 ლc5 ეh6 31. კc2 მf8 32. ლe5 ლd8 33. ლe7 b5 34. ლe3

მუქარით 35. h4.

34. ...მh7 35. კe4 a4 36. b4 ეd6

შავებმა მაქსიმალურად გააძლიერეს თავიანთი პოზიცია. ახლა თავს ესხმიან d4 პაიკს.

37. ეd1 ლf6 38. ლc3 ეad8 39. a3 მf8 40. ეc1 ე×d4 41. ეhe1

თეთრები ვერ აიყვანენ პაიკს. მაგალითად, 41. კ×c6 ეc8! 42 ლf3 ეd2 43. ლc3 ლd6! ან 41. ლ×c6 ლe5 42. ეhe1 ეd6, ანდა 42. ...ლf4 და მიიღება პოზიცია, რომელიც პარტიაში მოხდა.

41. ...ლd6

ამ სვლაზე 40 წუთი ვფიქრობდი. ძალიან მინდოდა 41. ...ეe8 მეთამაშა, მაგრამ შესაძლებელი ვარიანტი რომ გავიანგარიშე — 42. კd3! (ცუდია 42. კ×c6, ე×e1-ის გამო) 42. ...ე×e1 43. ე×e1 ლd6 44. მფc2 მd7 45. ეe8 მფh7 46. f6+ g6 47. ეe7! მფg8 48. ეe8 მf8 49. ეc8! — თეთრებს კონტრთამაში ჰქონდათ. ამიტომ გადავწყვიტე მეტოქისათვის არავითარი შანსი არ მიმეცა და ავირჩიე გაგრძელება, რომელიც უფრო ადვილად იგებდა.

42. ლ×c6 ლf4 43. ეe2 ე8d6! 44. ლe8 ლg3 45. f6 ლ×a3 46. ეb2

მახის დაგებით. თუ 46. ...ე×b4? მაშინ 47. ლ×f8+ შამათით.

46. ...g×f6.

კინტეროსი დამნებდა.

ორი სიტყვა ჩემსა და კარპოვის შეხვედრაზე. როგორც ჩანს, ჩემპიონი საგანგებოდ მოემზადა ჩემთან საპაექროდ. მან შეხვედრა ლაზიერის პაიკით დაიწყო, რასაც დიდი ხანია აღარ მიმართავს, და მცირე უპირატესობა მიიღო: შემდგომ პოზიცია გავათანაბრე, მაგრამ შევცდი და წავაგე. თვით კარპოვი მხოლოდ პირველ ტურში დამარცხდა, როცა მოსაგებ მდგომარეობაში გერმანელ ოსტატ ჰარტმანს ორი პაიკი „დაუსვა".

ჩვენი ტურნირის დროს გამოცხადდა ფიდე-ს პრეზიდენტის გადაწყვეტილება — პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩებში ვ. სმისლოვსა და გ. კასპაროვს წაგება ჩაეთვალათ. კარპოვმა მაშინვე პრესკონფერენცია გამართა, ტელევიზიითაც გამოვიდა და განაცხადა, რომ ფიდე-ს პრეზიდენტის ნაბიჯი ჭადრაკის საწინააღმდეგოდაა გადადგმული. იგი ტელეფონით დაუკავშირდა მსოფლიოს რამდენიმე გამოჩენილ მოჭადრაკეს და სთხოვა ერთობლივად მივმართოთ ფიდე-ს კონგრესს სამართლიანობის აღსადგენად. კარპოვმა დახმარებისთვის ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტებსაც ავსტრიელ იუნგვირტსა და ესპანელ ტორანს მიმართა. მსოფლიო ჩემპიონის რწმენით მატჩები აუცილებლად უნდა ჩატარდეს.

პრეზიდენტ კამპომანესის ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ჩვენი შეჯიბრების მონაწილენიც არ ვიზიარებდით. ჭადრაკში უძლიერესის საკითხს დაფასთან ჭიდილი უნდა წყვეტდეს, როგორც ეს ყოველთვის იყო და იქნება.

საუბარი ჩაიწერა
თ. ნინოშვილმა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: გფრ-ის VII ღია პირველობაში გამარჯვებულნი (მარცხნიდან) თამაზ გიორგაძე, ა. კარპოვი და ი. ბალაშოვი.

შ. შანიძის
მეგობრული შარჟი.

კონგრესი თუ გადაწყვეტს...

ჭადრაკის სამყაროს ყურადღების ცენტრშია პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩების გამართვის საკითხი. როგორც ცნობილია, ფიდეს-ს პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა საბჭოთა დიდოსტატებს ვ. კასპაროვსა და ვ. სმისლოვს ამ მატჩებში წაგება ჩაუთვალა, რადგან ისინი არ გამოცხადდნენ სათამაშოდ პასადინსა (აშშ) და აბუ-დაბიში (არაბეთის გაერთიანებული ემირატები), სადაც პრეზიდენტმა მატჩები თვითნებურად დანიშნა.

ფიდე-ს პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ აღელვა საზოგადოებრიობა, პირველ ყოვლისა, მსოფლიოს მოჭადრაკეები.

ნიკშიჩში, საერთაშორისო ტურნირის დღეებში, შედგა ფიდე-ს დიდოსტატთა კომიტეტის სხდომა, რომელსაც მისი წევრები ს. გლიგორიჩი, ი. ტიმანი და რ. კინი (ინგლისი) დაესწრნენ. კომიტეტმა იმსჯელა პრეტენდენტთა მატჩის თაობაზე, რომლის დროს მხედველობაში მიიღო ფიდე-ს კონგრესისადმი მსოფლიოს ჩემპიონის ა. კარპოვის წერილი და ნიკშიჩის დიდოსტატთა ტურნირის მონაწილეთა განცხადება, რომელშიც ცნობილი მოჭადრაკეები მატჩის ჩატარებას მოითხოვენ.

კომიტეტის მდივანმა დიდოსტატმა რ. კინმა განაცხადა, რომ კომიტეტის წევრების აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგებს იგი გადასცემს მანილაში ფიდე-ს კონგრესს, სადაც ნებისმიერი კონფლიქტის გადაწყვეტა შეიძლება.

კვლავ მოიგო

იუგოსლავიის ქალაქ ნიკშიჩში გაიმართა დიდოსტატთა დიდი საერთაშორისო ტურნირის დასკვნითი, XV ტურის შეხვედრები.

მიუხედავად იმისა, რომ 20 წლის გარი კასპაროვმა ვადამდე გაინაღდა I ადგილი, იგი მაინც დიდი შემართებით ეპაექრა გლიგორიჩს (იუგოსლავია) და 37-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ყაიმზე შეთანხმდნენ ტალი — პორტიში (უნგრეთი), ნიკოლიჩი — ლიუბოევიჩი (ორივე — იუგოსლავია). დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ტიტულებს არ შეუშინდა

მოსკოვი. აქ დამთავრდა გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის" პრიზზე და დედაქალაქის ჩემპიონის სახელისთვის მებრძოლ მოჭადრაკე ქალთა ერთდროული მე-14 ელვისებური ტურნირი.

სენსაციურ წარმატებას მიაღწია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული კლუბის წევრმა, ოსტატმა რადმილა პოპოვიჩმა, რომელმაც 21 შესაძლებლიდან 16 ქულა მოაგროვა და გაუსწრო აღიარებულ მოჭადრაკეებს: დიდოსტატებს — ტ. ზატულოვსკაიას, ნ. კონოპლიოვას, ე. ფათალიბეკოვას, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონებს, საერთაშორისო ოსტატებს ა. ახშარუმოვასა და ლ. ბელავენეცს.

ფინალის ფინიში

ასპარეზობენ დოსააფელი სპორტსმენები

საბჭოთა კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადის ფინალური სტარტები სპორტის ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებით სახეობებში ექვსი თვეა მიმდინარეობს. დოსააფელ სპორტსმენთა ფორუმი 16 აპრილს ქ. სვერდლოვსკში რადიოგრამების მიღება-გადაცემით დაიწყო და უკვე ფინიშის სწორზე გავიდა. სპორტის 29 სახეობიდან 26-ში დამთავრდა შეჯიბრებები, ორ სახეობაში კი ამჟამად მიმდინარეობს ფინალური პაექრობები.

სპარტაკიადის ბოლო სახეობა ტყვიით სროლაა, რომელიც მოგვიანებით ქ. ვორონეჟში გაიმართება. ამის შემდეგ შეჯამდება საბოლოო შედეგები.

ოთხი წლის წინათ, VII საკავშირო სპარტაკიადაზე, საქართველოს სპორტსმენებმა X ადგილი დაიკავეს. არ ვიცით როგორი იქნება VIII სპარტაკიადის მონაპოვარი, მაგრამ პროგრესი აქედანვე იგრძნობა. თუ წინა სპარტაკიადაზე პირად ჩათვლაში მხოლოდ ერთი ჩემპიონი გვყავდა, ამჯერად უკვე სამია. გვაქვს გუნდური საპრიზო ადგილებიც.

კარგად იასპარეზეს მრავალდღიანი მოტორბოლის ოსტატებმა. მათ გუნდური II ადგილი და ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

საქართველოს ავტომოდელისტთა III საპრიზო ადგილი კანონზომიერად მიგვაჩნია. ამ სახეობაში VIII სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: რადიომართვის მოდელებში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი პაატა შარაფაშვილი და საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი დავით ჩხაიძე, სარბოლო მოდელებში ვერცხლის მედალი მოიპოვა დავით კობაიძემ, შარიფაშვილმა კიდევ ერთი მედალი, ამჯერად „ბრინჯაო" აიღო შიგაწვისძრავიანი მოდელით ასპარეზობაში.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის კარტინგისტებმა V ადგილი დაისაკუთრეს, ხოლო სპარტაკიადის ჩემპიონი ც-2 კლასის კარტინგის მანქანებით რბოლაში გახდა თბილისელი ინჟინერ-მეტალურგი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რობერტ აკოფოვი. ამ შესანიშნავმა კარტინგისტმა უკვე მეოთხედ გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში.

სხვათა შორის, რ. აკოფოვი 29 წლისაა და აქედან 20 წელია წარმატებით გამოდის საკავშირო და საერთაშორისო კარტინგის ტრასებზე.

სულ ახლახან კი გროზნოში გამართულ პარაშუტისტთა სპარტაკიადაში ფიგურულ ხტომებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონი გახდა თბილისელი სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორგზის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ნიკოლოზ უშმაევი.

უახლოეს ხანებში ჩვენი გაზეთის მკითხველებს დაწვრილებით ვესაუბრებით საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლების შედეგების შესახებ საბჭოთა კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში. ახლა კი აღვნიშნავთ, რომ სპორტის ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებით სახეობებში წარმატებებთან ერთად იყო წარუმატებლობაც, უხეირო, უპასუხისმგებლო გამოსვლებიც. აბა სხვა რა უნდა ითქვა საქართველოს დელტაპლანერისტების შესახებ, რომლებიც უვარგისი საფრენი აპარატების გამო არ დაუშვეს სპარტაკიადაზე.

თუ რაიონებსა და ქალაქებში უფრო სერიოზულად მიუდგებიან სპორტის ტექნიკური და სამხედრო-გამოყენებითი სახეობების მასობრივად განვითარებას, მაშინ წინსვლაც, წარმატებაც მეტი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპოვებულს დავთმობთ.

ბალტიისპირეთში, არა მარტო რესპუბლიკების ცენტრებში, დაბებსა და სოფლებშიც კი ხშირად იმართება შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებით სახეობებში. ჩვენთან კი ზოგჯერ საკავშირო პირველობები მხოლოდ შეჯიბრების მონაწილეებისა და მსაჯების თანხლებით, ფაქტობრივად უმაყურებლოდ ტარდება.

ვფიქრობთ, სპორტის გულშემატკივარი გულგრილი არ დარჩება, თუ ნახავს კომპლექსურ საჩვენებელ გამოსვლებს: პარაშუტისტის ლამაზ ხტომებს, ელვისებურ ავტო და მოტორბოლებს, მოდელისტთა საზრიანობას, „ბაგის" კლასის ავტოკროსს, მოტობურთელთა ცეცხლოვან თამაშს, „მელიებზე ნადირობას" და სხვა საინტერესო ასპარეზობებს.

გ. ბარჯაძე.

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

9 სექტემბერს, მცირე ხნის შესვენების შემდეგ, განახლდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში.

„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 1:1 (0:0). კიეველი ჩერნიკოვის მიერ 49-ე წუთზე გატანილი ბურთი 11-მეტრიანი დარტყმით გაქვითა გაზაევმა.

გააფრთხილეს ჩერნიკოვი.

დუბლიორები — 1:1.

„სპარტაკი“ — „მეტალისტი“ 1:0 (0:0). გოლი 88-ე წუთზე გაიტანა გლადილინმა.

გააფრთხილეს ხარკოველი პოტოჩნიაკი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, ჯ. წერეთელი, უ. ფურცელაძე (ყველანი — თბილისი).

დუბლიორები — 2:3.

„ზენიტი“ — „არარატი“ 0:0. გააფრთხილეს ლენინგრადელი დავიდოვი და ერევნელი ხაჩატრიანი.

დუბლიორები — 0:0.

„დნეპრი“ — „ჟალგირისი“ 3:1 (0:0). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ლიუტიმ, კუზნეცოვმა და ლიტოვჩენკომ, ხოლო „ჟალგირისის“ მხრივ — იაკუბაუსკასმა.

გააფრთხილეს დნეპროპეტროვსკელი კუტუზოვი.

დუბლიორები — 0:0.

„ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:3 (0:1). ტორპედოელთაგან 2 ბურთი გაიტანა კობზევმა და ერთი — პეტრაკოვმა (პენალტით). ოდესელთაგან უპასუხეს პასულკომ და ფინკმა.

დუბლიორები — 0:1.

„ნისტრუ“ — ცსკა 1:2 (0:1). არმიელ კოლიადკოსა და ტარხანოვის 2 ბურთს კიშინიოველმა ბატიჩმა უპასუხა.

დუბლიორები — 1:3.

ამ ტურში გადაწყდა ერთ-ერთი იმ გუნდის საკითხი, რომელმაც საგაისოდ უნდა დატოვოს უმაღლესი ლიგა. კიშინიოვის „ნისტრუმ“ ზედიზედ 6 მატჩი წააგო და დარჩენილ შეხვედრებში ქულათა მაქსიმუმის აღებაც არ შველის მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა შორის ასეთი მდგომარეობაა: ი. გავრილოვი („სპარტაკი“) — 17 გოლი, ი. გურინოვიჩი („დინამო“, მინსკი) — 16, მ. სოკოლოვსკი („შახტიორი“) და ა. იაკუბიკი („ფახთაქორი“) — 15-15, ხ. ოჰანესიანი („არარატი“) — 14, ვ. ფინკი („ჩერნომორეცი“) — 13.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 14 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ კ.	28	20	5	3	64—20	45
„დინ.“ მ.	27	15	6	6	36—22	36
ცსკა	28	14	8	6	46—32	36
„დინ.“ თბ.	27	13	7	7	38—20	33
„დინ.“ მნ.	27	12	9	6	46—33	33
„ზენიტი“	26	13	4	9	45—37	30
„მეტალ.“	28	11	7	10	54—47	29
„ნეფთჩი“	28	10	9	9	40—38	29
„დნეპრი“	28	10	7	11	36—34	27
„ფახთაქ.“	28	8	11	9	37—44	27
„ჩერნ.“	27	9	8	10	42—40	26
„ჟალგ.“	28	9	8	11	35—42	26
„ტორ.“ მ.	28	9	6	13	30—41	24
„შახტ.“	28	8	6	14	29—37	22
„სპარტ.“	28	5	11	12	42—56	21
„ნისტრუ“	27	7	6	14	31—55	20
„არარ.“	28	7	5	16	24—47	19
„ტორ.“ ქ.	29	6	3	20	28—59	15

ფიფა-ს არბიტრი

ვილნიუსელ ფეხბურთის მსაჯს რ. იუშკას მიენიჭა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდება.

ამჟამად მოქმედი საბჭოთა მსაჯებიდან ფიფა-ს არბიტრის წოდება მინიჭებული აქვთ აგრეთვე ა. მილჩენკოს (სოხუმი), ვ. ბუტენკოს (მოსკოვი) და მ. სტუპარს (ივანო-ფრანკოვსკი).

წესრიგის დამრღვევთ — მკაცრი სასჯელი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში

გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტულ-ტექნიკური კომისიის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც იმსჯელა უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატზე მომხდარი დარღვევების შესახებ.

საგანგებო განხილვის საგნად იქცა ზუგდიდის „ენგურისა“ და წყალტუბოს „სამგურალის“ მატჩში მომხდარი უხეში დარღვევები. ზუგდიდის გუნდის მწვრთნელები ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე შეეცადნენ დაეყოლიებინათ მეტოქე, რომ შეხვედრა წინასწარი გარიგებით დამთავრებულიყო. როცა ეს ვერ შეძლეს, ზუგდიდელმა „უცნო პირებმა“ მატჩის დაწყების წინ მანქანაში ჩაისვეს შეხვედრის არბიტრი რ. გარნოვსკი (სამტრედია) და, ნაცვლად იმისა, რომ სტადიონზე მიეყვანათ, ქალაქგარეთ „გაასეირნეს“. როცა სტადიონზე მივიდნენ, „ენგურისა“ და „სამგურალის“ მატჩი უკვე დაწყებული იყო. მას ემსახურებოდა ადგილობრივ მსაჯთა ბრიგადა ნ. ჩუხუას მეთაურობით.

ფედერაციისა და სპორტტექნიკური კომისიის სხდომაზე რ. გარნოვსკის არც დაუმალავს, რომ იგი სრულიად უცნობ ადამიანებს ჩაუჯდა მანქანაში და სტადიონზე მისვლის ნაცვლად ზუგდიდის მიდამოებს „ათვალიერებდა“. ასევე მოექცნენ დამხმარე მსაჯს ა. მანუკიანს (თბილისი), რომელიც ასეთივე „უცნობმა პირებმა“ არ შეუშვეს სტადიონზე, მეორე დამხმარე მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი) კი ავტობუსით გაემგზავრა ზუგდიდში და ათი წუთით დააგვიანა, ე. ი. რ. გარნოვსკი, დ. გაგნიძე და ა. მანუკიანი, მატჩის ოფიციალური მსაჯები, იმ დღეს მაყურებლების როლში აღმოჩნდნენ და საკუთარი თვალით უყურებდნენ თუ როგორი დარღვევებით, მიკერძოებით მსაჯობდნენ „ენგურისა“ და „სამგურალის“ მატჩს ნ. ჩუხუა და მისი თანაშემწეები.

ნ. ჩუხუამ სხდომაზე განაცხადა, რომ არ იცოდა თუ ნეიტრალურ მსაჯთა ბრიგადა არ იყო ჩამოსული ზუგდიდში, ამიტომ ადგილობრივი სპორტკომიტეტის წინადადებით მოიტანა სპორტული ფორმა და შეუდგა მსაჯობას...

ამ შეუწყნარებელ ამბავზე სრული პრინციპულობით ილაპარაკეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ი. ხარატიშვილმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. პაიჭაძემ, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა გ. ბაქანიძემ და სხვებმა.

მიუხედავად ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის კოლექტივის თხოვნისა, სხდომამ დაადგინა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის დებულების შესაბამისად გაუქმდეს მატჩის შედეგი, გათამაშებიდან მოიხსნას ზუგდიდის „ენგური“, რომელსაც ადრე უკვე ჰქონდა პირობითი დისკვალიფიკაცია წესრიგის დარღვევისთვის, ზუგდიდის „ენგურის“ მწვრთნელის თანამდებობიდან მოიხსნა რ. პერტაია, რომელსაც ამას გარდა საერთოდ აეკრძალა სპორტში მუშაობა, I კატეგორიის მსაჯს ნ. ჩუხუას (ზუგდიდი) მიეცა სამუდამო დისკვალიფიკაცია.

1983 წლის სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიეცათ არბიტრებს სამტრედიელ რ. გარნოვსკის და თბილისელ ა. მანუკიანს, რომლებმაც გადამჭრელ ზომებს არ მიმართეს, რათა დროზე გამოცხადებულიყვნენ თამაშის დაწყების წინ, ხოლო დ. გაგნიძე (თბილისი), რომელმაც დააგვიანა მატჩზე ჩასვლა, პირობითად დისკვალიფიცირებულია 1983 წლის ბოლომდე.

ფედერაციისა და სპორტკომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ ოფიციალურად სთხოვა ზუგდიდის აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებას გამოიძიოს იმ პირთა ვინაობა, რომლებმაც არ დაუშვეს სტადიონის ტერიტორიაზე რ. გარნოვსკი და ა. მანუკიანი იმ წინასწარი განზრახვით, რომ მატჩი ემსაჯა ადგილობრივ მსაჯს და ამით უზრუნველეყოთ „ენგურის“ გამარჯვება.

ქ. ზუგდიდის პარტიის საქალაქო საბჭოს ეთხოვა შეისწავლოს საქალაქო სპორტკომიტეტისა და „განთიადის“ საბჭოს მუშაობა და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ სპორტკომიტეტს.

* * *

დისციპლინის უხეში დარღვევა მოხდა საქართველოს თასის მატჩში დმანისის „მაშავერასა“ და ბორჯომის „თორს“ შორის. შეხვედრის მსვლელობაში არბიტრმა ი. კანდელაკმა (თბილისი) „თორის“ კარში დანიშნა 11-მეტრიანი დარტყმა. ბორჯომელთა გუნდის კაპიტანი გ. დათუნიშვილი უტიფრად მიეჭრა მსაჯს და მოითხოვა ამ გადაწყვეტილების გაუქმება, ამ დროს კი ი. კანდელაკს ზურგიდან მიეპარა ბორჯომელი მოთამაშე ვ. მაისურაძე და მძიმე ტრავმა მიაყენა მას. ამის შემდეგ ი. კანდელაკმა ძლივს დაამთავრა პირველი ტაიმი, მერე კი დაშავებული მსაჯი საავადმყოფოში გაამგზავრეს. მატჩი ჩაიშალა.

ფედერაციის დადგენილებით ვ. მაისურაძეს საერთოდ აეკრძალა ფეხბურთის თამაში ოფიციალურ შეჯიბრებებში, გ. დათუნიშვილი დისკვალიფიცირებულია 1 წლით, ხოლო დმანისის „მაშავერასა“ და ბორჯომის „თორის“ მატჩი თასზე ხელახლა უნდა შედგეს. არბიტრ ი. კანდელაკის საკითხი გადაეცა მსაჯთა რესპუბლიკურ კოლეგიას.

ამას გარდა, სხვადასხვა დანაშაულისთვის დასაჯეს წესრიგის დამრღვევი სხვა ფეხბურთელებიც: თბილისის „სპარტაკის“ მოთამაშეს გ. ადამიას დისკვალიფიკაცია მიეცა 3 კალენდარული მატჩით, ბოლნისის „მადნეულის“ ფეხბურთელი გ. უგულავა დისკვალიფიცირებულია 5 კალენდარული მატჩით და პირობითად — 1983 წლის ბოლომდე, წულუკიძის „იმერეთის“ ფეხბურთელი ლ. მანაგაძე დისკვალიფიცირებულია 1983 წლის ბოლომდე, ხოლო ხ. ლიპარტელიანი იმავე ვადით — პირობითად. 1 წლითაა დისკვალიფიცირებული ტყვარჩელის „შახტიორის“ მეკარე რ. ბელქანია, ხოლო გუნდის მწვრთნელი ვ. წულუკია პირობითაა დისკვალიფიცირებული. 3 მატჩით დისკვალიფიცირებულია, აგრეთვე, სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელი მ. მამფორია და პირობითად — წლის ბოლომდე.

ევროპის საკლუბო ტურნირებში

დღეს იწყება ევროპის 1983-84 წლების საკლუბო თასების გათამაშება ფეხბურთში. ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის ტრადიციულ ტურნირებში მონაწილეობენ კონტინენტის საუკეთესო კლუბები, მათ შორის, 4 საბჭოთა გუნდიც.

ჩემპიონთა თასი. ესაა ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ოფიციალური შეჯიბრება ფეხბურთში საკლუბო გუნდებს შორის. პირველად ევროპის ჩემპიონთა თასი გაიმართა 1955 წელს. მაშინ გაიმარჯვა მადრიდის „რეალმა“, მას შემდეგ ეს საპატიო პრიზი მოიპოვეს სულ 7 ქვეყნის წარმომადგენლებმა. ბოლო გათამაშების ჩემპიონია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგი“, რომელმაც ფინალში ანგარიშით 1:0 დაამარცხა იტალიის „იუვენტუსი“.

ჩვენი გუნდებიდან ჩემპიონთა თასზე საუკეთესო მაჩვენებელი აქვს კიევის „დინამოს“, რომელმაც 1976-77 წლების გათამაშებაში ნახევარფინალს მიაღწია და 2 მატჩში მარცხი იწვნია მიონხენგლადბახის (გფრ) „ბორუსიასთან“ — 1:0, 0:2.

წლეულს ამ თასის გათამაშებაში დებიუტი აქვთ მინსკის დინამოელებს. რა თქმა უნდა, ჩვენს გუნდს ესოდენ მნიშვნელოვანი შეჯიბრების გამოცდილება არ გააჩნია, მაგრამ მაინც წარმატებით შეუძლია გაუმკლავდეს პირველ მეტოქეს — შვეიცარიის ჩემპიონს, ციურიხის „გრასჰოპერსს“. სხვათა შორის, ევროპულ საკლუბო გათამაშებებში „გრასჰოპერსი“ სამჯერ იყო საბჭოთა გუნდების მეტოქე. ციურიხელებმა წააგეს ერევნის „არარატთან“ — 1:3 და 2:4 და კიევის „დინამოსთან“ — 0:1 და 0:3, ხოლო თბილისის „დინამოსთან“ 1977 წელს 2 მატჩში გაიმარჯვეს — 0:1, 4:0.

„გრასჰოპერსი“ შვეიცარიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, ქვეყნის ჩემპიონი იყო 19-ჯერ, მის შემადგენლობაში გამოდიან ცნობილი ფეხბურთელები ბერბიგი, შელიბაუმი, ჰერმანი, კოლერი, სულსერი, ავსტრიელი იარა და სხვანი.

„გრასჰოპერსს“ დიდი ისტორია აქვს (ჩამოყალიბებულია 1886 წელს) და მრავალი წარმატებისთვის მიუღწევია. კლუბს ბოლო ხანებში წვრთნიდა ცნობილი დასავლეთგერმანელი სპეციალისტი ჰ. ვაისვაილერი, მაგრამ როგორც ვიუწყებოდით, იგი ამას წინათ მოულოდნელად გარდაიცვალა, შვეიცარიელები სასწრაფოდ შეუდგნენ ახალი მწვრთნელის ძებნას და მიაგნეს კიდეც 46 წლის იუგოსლაველ სპეციალისტს მიროსლავ ბლაჟევიჩს, რომელიც ბოლო ხანებში ზაგრების „დინამოში“ მუშაობდა. მ. ბლაჟევიჩი ერთ დროს თამაშობდა შვეიცარიის კლუბებში, შემდგომში იქ მწვრთნელადაც მუშაობდა და შვეიცარიის ეროვნულ ნაკრებსაც კი ედგა სათავეში.

ახლა „გრასჰოპერსი“ ლიდერობს ეროვნულ ჩემპიონატში და დიდი შედეგიანობითაც გამოირჩევა — 86 გატანილი ბურთი. მას 8 ქულა აქვს 10 შესაძლებლიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ სეზონისთვის სამზადისის პერიოდში „გრასჰოპერსმა“ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში და ანგარიშით 5:0 დაამარცხა იტალიის ჩემპიონი „რომა“, სადაც გამოდიოდნენ ცნობილი ფეხბურთელები გრაციანი, კონტი და სხვანი.

თასების მფლობელთა თასი. ამ პრიზის გათამაშებებში საბჭოთა გუნდებს დიდი წარმატებები აქვთ: 1974-75 წლების ტურნირში გამარჯვება მოიპოვა კიევის „დინამომ“, ხოლო 1980-81 წლების პრიზი დაისაკუთრა თბილისის „დინამომ“.

გამარჯვებულთა გარდა სსრ კავშირიდან 1972 წლის გათამაშების ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა მოსკოვის „დინამომ“, რომელმაც ნახევარფინალის 2 მატჩი ერთნაირი ანგარიშით 1:1 დაამთავრა ბერლინის თანაკლუბელებთან და შემდეგ გაიმარჯვა დამატებითი პენალტებით.

მოსკოვის დინამოელები ფინალში შეხვდნენ შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს“. მატჩი 24 მაისს გაიმართა ესპანეთის ქალაქ ბარსელონის სტადიონზე. მეორე ტაიმის დასაწყისში შოტლანდიელები წინ იყვნენ ანგარიშით 3:0, მაგრამ მოსკოველებმა მძლავრი კონტრთამაში შექმნეს და 2 ბურთიც გაქვითეს. სწორედ მაშინ, როცა ანგარიში იყო 3:2 „გლაზგო რეინჯერსის“ სასარგებლოდ, შოტლანდიიდან ბარსელონაში საგანგებოდ ჩასული გულშემატკივრები გადაცვივდნენ მინდორზე და მსაჯი იძულებული შეიქნა შეეწყვიტა თამაში. საქმეში ჩაერია პოლიცია, კარგა ხანს მოუნდნენ მინდვრის გაწმენდას შოტლანდიელი გულშემატკივრებისგან. ასეთ არანორმალურ პირობებში მსაჯმა დაამთავრა თამაში, მოსკოვის „დინამომ“ კი ოფიციალური პროტესტი შეიტანა უეფა-ში. პროტესტი განიხილეს, რაღაც გადაწყვეტილებებიც მიიღეს, მაგრამ წაგებულ მატჩს არაფერი ეშველა.

შარშანდელ გათამაშებაში ჩვენი ქვეყნიდან მონაწილეობდა მოსკოვის „ტორპედო“, რომელიც სტარტზევე გამოეთიშა გათამაშებას, ფინალში კი ერთმანეთს შეხვდნენ შოტლანდიის „აბერდინი“ და მადრიდის „რეალი“. მოულოდნელ გამარჯვებას მიაღწია „აბერდინმა“ — 2:1.

თასების მფლობელთა თასზე წლეულს გამოდის დონეცკის „შახტიორი“, რომელსაც ევროპული თასების შეჯიბრებათა საკმაო გამოცდილება აქვს — 12 მატჩი. აქედან „შახტიორმა“ მოიგო 6, წააგო 4 და 2 ფრედ დაამთავრა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დონეცკელები, როგორც წესი, საწყის ეტაპებზე ეთიშებოდნენ გათამაშებას.

დონეცკელთა პირველი მეტოქეა დანიის ქალაქ ნიუკებინგის „ბკ-1901“, რომელიც, როგორც მისი დასახელებიდან ჩანს, 1901 წელსაა ჩამოყალიბებული. ეს ძლიერი გუნდია, მის შემადგენლობაში გამოდიან ხორენსონი, რასმუსენი, ბიოგვადი, ლუკე და სხვანი.

უეფა-ს თასი. ამ ტურნირში გამოდიან ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების პრიზიორები, ტრადიციულად ძლიერი კლუბები. ჩვენს ქვეყანას წინა წლებში ლიმიტით გამოჰყავდა 3-3 გუნდი, მაგრამ ახლანდელი კოეფიციენტების ცხრილის შესაბამისად ამჟამად მას უფლება აქვს გამოიყვანოს მხოლოდ 2 გუნდი.

ჩვენი ქვეყნის მრავალ საკლუბო კოლექტივს მიუღია მონაწილეობა უეფა-ს თასზე, მაგრამ რამდენადმე მაინც მნიშვნელოვან წარმატებას ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია. შარშან, მაგალითად, მოსკოვის „სპარტაკმა“, ოცდამეთორმეტედფინალში დაამარცხა ლონდონის „არსენალი“ — 3:2 და 5:2, მეთექვსმეტედფინალში სძლია ჰოლანდიის „ჰაარლემს“ — 2:0 და 3:1, მაგრამ შემდეგ წააგო ესპანეთის „ვალენსიასთან“ — 0:0 და 0:2.

ამავე გათამაშებაში თბილისის დინამოელებმა ოცდამეთორმეტედფინალში შინ დაამარცხეს იტალიის „ნაპოლი“ — 2:1, მაგრამ ნეაპოლში წააგეს ანგარიშით 0:1 და 2 მატჩის ჯამში გამოეთიშნენ გათამაშებას (იტალიელებს გამარჯვება მოუტანა მეტოქის სტადიონზე გატანილმა გოლმა).

ასევე პირველ წრეში დამარცხდა მოსკოვის „დინამო“ პოლონეთის ქალაქ ვროცლავის „შლიონსკისთან“ — 2:2, 0:1.

უეფა-ს თასზე წლეულს მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქეა ფინეთის ჰიკ-ი. ჰელსინკის ეს კლუბი ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესია თავის ქვეყანაში, მრავალჯერ გაუმარჯვია ფინეთის ჩემპიონატებშიც და თასზეც, მაგრამ, ჩვენი აზრით „სპარტაკს“ დიდი შანსი აქვს გავიდეს გათამაშების შემდგომ ეტაპზე.

„სპარტაკთან“ ერთად უეფა-ს თასზე ითამაშებს ევროპულ საკლუბო გათამაშებათა უცვლელი მონაწილე კიევის „დინამო“, რომელმაც საკონტინენტო ასპარეზზე 75 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 45 მოიგო, 15 ფრედ დაამთავრა და 15 წააგო გატანილი და მიღებული ბურთების დადებითი შეფარდებით 111:55. პირველ წრეში კიეველთა მეტოქეა საფრანგეთის „ლავალი“. საერთაშორისო სარბიელზე არც ეს გუნდი გამოირჩევა დიდი მიღწევებით, მაგრამ როგორც მიმომხილველები წერენ, მას აქვს მობილიზების დიდი უნარი, გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელია.

საბჭოთა გუნდები „დინამო“ (მინსკი), „სპარტაკი“ (მოსკოვი) და „დინამო“ (კიევი) პირველ მატჩებს შინ ატარებენ დღეს და მხოლოდ დონეცკის „შახტიორი“ თამაშობს სტუმრად. საპასუხო შეხვედრები გაიმართება 28 სექტემბერს.

ცენტრალური ტელევიზია 14 სექტემბერს გვთავაზობს 3 მატჩის ტრანსლაციას პირველი პროგრამით.

მინსკის „დინამო“ და ციურიხის „გრასჰოპერსი“ თამაშობენ 20 საათზე თბილისის დროით, შემდეგ, 22 საათსა და 35 წუთზე ვნახავთ მოსკოვის „სპარტაკისა“ და ფინეთის ჰიკ-ის შეხვედრას, 23 საათსა და 35 წუთიდან კი გადმოსცემენ კიევის „დინამოსა“ და საფრანგეთის „ლავალის“ შეხვედრას.



სარბიელზე გამოდის მესამე თაობა

ბოლო წლებში ნორჩ კალათბურთელთა აღზრდა-დაოსტატებისათვის ბევრი რამ გაკეთდა თბილისში. ამ რამდენიმე წლის წინათ ჩამოყალიბდა ბიჭუნების გუნდი „მართვე", რომელმაც არამარტო ჩვენს რესპუბლიკაში გაითქვა სახელი, არამედ წარმატებით იასპარეზა საკავშირო ტურნირებში. „მართვე" განაგრძობს აღმავლობას, მაგრამ იმისთვის, რომ დიდმა კალათბურთმა სისტემურად მიიღოს სრულფასოვანი შევსება, ნიჭიერ ნორჩ კალათბურთელთა გამოვლენა და მათი სპეცკლასებში გაერთიანება გრძელდება. „მართვეს" მაგალითზე კალინინის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებთან ჩამოყალიბდა ამავე სახელწოდების უმცროსთა კიდევ ორი გუნდი. სულ პატარებმაც, რომლებიც ახლა 11-13 წლისანები არიან, უკვე შექმნეს თავიანთი სპორტული ბიოგრაფიის თავფურცელი. ახლახან ეს გუნდი, რომელსაც გ. ქილიტაური ავარჯიშებს, რიგაში ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე მიიწვიეს თანატოლებმა. იქვე ჩატარდა ამხანაგური ტურნირი, სადაც „მართვეს" მესამე თაობის წარმომადგენლები სამ გუნდად დაიყვნენ. სამივე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ ნორჩ ქართველ კალათბურთელებს.

ბ. ბაქრაძე.

• • •

სურათებზე: „მართვეს" უმცროსი გუნდის ვარჯიშის მომენტები.

ჯ. კახრაძის ფოტო.

პანორამა

● კალათბურთი

უნგრეთის ქალაქებში ზალაეგერსეგში და მიშკოლცში გრძელდება კალათბურთელ ქალთა გუნდების ევროპის ჩემპიონატი. მეორე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც დაამარცხეს ბულგარეთის გუნდი 108:60 (55:25). გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ ბარელი (25 ქულა), სემიონოვა (17) და სუხარნოვა (15). ბულგარელთაგან სტანევა — 11. ამ ჯგუფის დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: შვეცია— გფრ 68:66, იტალია — ჩეხოსლოვაკია 74:68. ამ ჯგუფში პირველ დღეს გფრ-ს გუნდმა სძლია იტალიელებს — 54:50, ჩეხოსლოვაკიელებმა — ბულგარელებს 86:90, მიშკოლცში, სადაც დანარჩენი ექვსი გუნდი ასპარეზობს, პირველმა დღემ ასეთი შედეგები მოგვცა: ესპანეთი — პოლონეთი 59:92, იუგოსლავია—ჰოლანდია 58:50, უნგრეთი — რუმინეთი 87:85.

ორი გამარჯვება აქვს საბჭოთა გუნდს, აგრეთვე პოლონეთის, უნგრეთისა და იუგოსლავიის კოლექტივებს.

● რეგბი

რეგბისტთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოცე ტურში ცენტრალური იყო მოსკოვის „ლოკომოტივსა" და შარშანდელი ჩემპიონის „სლავას" (მოსკოვი) შეხვედრა. თავდაპირველად „სლავა" დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ რკინიგზელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს ანგარიშით 13:6 (6:3). წარმატებას მიაღწია მოსკოვის „ფილიმაც", ლენინგრადის „პრიმორეცთან" შეხვედრაში — 21:9 (11:0). ქუთაისის „სახლმშენი" დიდი ანგარიშით დამარცხდა ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდთან — 12:41 (6:22). თბილისის „ლოკომოტივმა" კიევში დაამარცხა ადგილობრივი „ავიატორი" — 15:4 (3:4).

ახლა სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: მოსკოვის „ლოკომოტივს" 54 ქულა აქვს, „ფილის" — 52, „სლავას" — 49, სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს — 48, „ავიატორს" —45, „სახლმშენს" — 35, თბილისის „ლოკომოტივს" — 33, „პრიმორეცს" — 32.

● წყალსამოტორო სპორტი

ტერნოპოლში დამთავრდა წყალსამოტორო სპორტში სსრ კავშირის თასის გათამაშება. გაიმარჯვეს ტოლიატის „ვაზის" სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ მოსკოვის დოსააფის მრბოლელები, ხოლო მესამეზე — კაუნასის „პოლიტეხნიკის" სპორტსმენები. ასპარეზობაში მონაწილეობდა წყალსამოტორო სპორტის 230 უძლიერესი ოსტატი.

● წყალსათხილამურო სპორტი

კრილატსკოეს არხში დამთავრდა წყალმოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატი. მრავალჭიდში ჩემპიონები გახდნენ დუბნელი ნ. პონომარიოვა და მინსკელი ა. მინენოკი. ტრამპლინიდან ხტომაში ოქროს მედალი მოიპოვა 20 წლის მოსკოველმა სტუდენტმა ო. გუბარენკომ, ხოლო ვაჟთა შორის გაიმარჯვა ს. ოსტროუმოვმა (მოსკოვი).

ნარევი

სპეცკურსი:
„ოლიმპიური მოძრაობა"

საინტერესო ხელშეკრულება დაიდო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა, რომლის შტაბბინა შვეიცარიის ქ. ლოზანაში იმყოფება, და ამ ქალაქის უნივერსიტეტს შორის: უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ამიერიდან სისტემატურად წაიკითხება სპეცკურსი „ოლიმპიური მოძრაობა".

ახლა სხვა დროა

ცნობილ ინგლისელ მოჭადრაკეს, დიდოსტატ ენტონი მაილსს ძალიან უყვარს ანტიკური ისტორია. ამიტომ მან თავის მანქანა „იაგუარს" ნომრები რომაული ციფრებით დააწერა. მოსამართლემ, რომელმაც მაილსი ფულადი თანხით დააჯარიმა, უთხრა:

— ეს ნიშნები, მისტერ მაილს, ინგლისში გაუქმებულია უკვე მეხუთე საუკუნიდან, როცა რომაულმა ლეგიონებმა ბრიტანეთის კუნძულები სამუდამოდ დასტოვეს.

ყაირათი შოტლანდიურად!

შოტლანდიური კლუბი „მორტონი" დიდი ფინანსური სიძნელეების წინაშე დადგა. მაშინ მან გაყიდა წამყვანი მოთამაშეების დიდი ჯგუფი, გაათავისუფლა მწვრთნელი ბენი რუნი, მისი თანაშემწე მაიკ ჯეკსონი და ამასობაში შეიძინა 53 წლის მოთამაშე მწვრთნელი ალეკს მილერი, რომელმაც ფეხბურთს თავი დაანება... 17 წლის წინ!

ი. ადაბაშის რეკორდები

ოდესელმა მფრინავმა ქალმა ირინე ადაბაშმა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა კიევში მიმდინარე სსრ კავშირის ხალხთა VIII ზაფხულის სპარტაკიადაზე უმაღლეს პილოტაჟში.

ი. ადაბაში შეჯიბრებაში გამოდიოდა ხრახნიანი თვითმფრინავით იაკ-50 და შეუცდომლად შეასრულა ყველა საჰაერო ნომერი, ამასთან საერთო გამარჯვებასთან ერთად მოიპოვა 3 ოქროს მედალი ცალკეულ ვარჯიშებში, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა უმაღლეს პილოტაჟში.

ვაჟთა შორის გაიმარჯვა ლენინგრადელმა ი. გომილიაევმა.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: ყაზახეთი, ლენინგრადი, რსფსრ.

დაგვიანებული პიკი

თვალს თუ გადავავლებთ მსოფლიოს მძლეოსანთა ბოლო ორი ათეული წლის შედეგებს, ყურადღებას მიიპყრობს „სპორტის დედოფლის" ფრანგ თაყვანისმცემელთა მნიშვნელოვანი წარმატებები. ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოირჩეოდა პარიზელი ლინოტიპისტის მიშელ ჟაზის „სწრაფი ფეხები", რომელსაც იგი 1.500 და 5.000 მეტრებზე რბენაში აჩვენებდა და კონტინენტის ჩემპიონატებზეც იმარჯვებდა ამ მანძილებზე. მას მხარს უმშვენებდნენ აგრეთვე თანამემამულე ევროპის ჩემპიონები 200 მეტრზე რბენაში როჟე ბამბუკი და სიმაღლეზე მხტომელი ჟაკ მადიუბო, რომლებმაც თავიანთ სახელოვან სტაიერთან ერთად სამშობლოში ოქროს მედლები ჩაიტანეს. აღარაფერს ვამბობთ თანამედროვეობის ერთ-ერთ ისეთ უძლიერეს თარჯმრბენზე როგორიც სახელგანთქმული გი დრიუ იყო. მაგრამ, მიუხედავად ასეთი სახელოვანი მძლეოსნური ტრადიციებისა (1920 წელს გილემო ოლიმპიური ჩემპიონიც კი იყო 5.000 მეტრზე რბენაში, ხოლო ალენ მიმუნმა 1956 წლის მელბურნის თამაშების მარათონი მოიგო) საფრანგეთის წარმომადგენლებმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი ამ ზაფხულს ჰელსინკში გამართულ მძლეოსანთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში. ამის თაობაზე პარიზის „ეკიპის" მიერ გამოქვეყნებულ საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციის ტექნიკური კომისიის დირექტორის ჟან პოზობიუტის ინტერვიუში აღნიშნულია შემდეგი:

შარშანდელ ევროპის ჩემპიონატთან შედარებით ქვეყნის ეროვნული გუნდი მნიშვნელოვნად გადახალისდა და ახალგაზრდობამ, რომელიც კოლექტივში მოვიდა, ვერ გაუძლო სატურნირო დატვირთვას. ეს პირველყოვლისა ფსიქოლოგიური ხასიათის დატვირთვა იყო. შარშანდელი ათენის ევროპული ჩემპიონატის ლიდერებმაც კი საგრძნობლად დათმეს პოზიციები. მაშ, რაღა გვეთქმის ახალგაზრდობაზე.

დირექტორის ასეთი არგუმენტაცია საფუძველმოკლებული როდია, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების რამდენიმე კვირის შემდეგ ფრანგმა ჭოკით მხტომელმა პიერ კინონმა, რომელსაც ჰელსინკის სარბიელზე წარმატება არ ჰქონია (მან იქ საწყისი სიმაღლეც ვერ დასძლია), ქ. კიოლნში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. მისი შედეგია 5 მ. და 82 სმ. ხოლო ერთი კვირის შემდეგ ეს მიღწევა სანტიმეტრით გააუმჯობესა მისმა თანამემამულემ ტიერი ვინიერონმა. იქნებ ფინეთის დედაქალაქში ფრანგთა წარუმატებლობის მიზეზი უფრო ისაა, რომ მწვრთნელებმა თავიანთი შეგირდების სპორტული ფორმის პიკი ვერ უზრუნველყვეს აგვისტოს სტარტებისათვის. ასეა თუ ისე, ყოველ დიდ შეჯიბრებას სათანადო მომზადება უნდა, როგორც ფიზიკური, ასევე მორალური თვალსაზრისით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. სპორტული მედიცინის კათედრის მასწავლებლის 0,5 ერთეულზე სპორტ მასაჟის კურსის წასაკითხად.
2. ბიომექანიკის და ბიომეტრის კათედრის მასწავლებლის ერთ ერთეულზე.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე 9 სთ. 30 წთ-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართია: თბილისი, 380062, ჭავჭავაძის პრ. №49, ტელეფონები: 23-31-60, 23-09-02

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 ~~16~~ 17 უე—07768